ორგზის – ნახევარფინალში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 21 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “ტავრია” (სიმფეროპოლი”) 4:1 (3:0).

“დინამო”: გაბელია (მჭედლიძე), ხიზანიშვილი (ანდღულაძე), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, კაკილაშვილი (სვანაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

“ტავრია”: იურკოვსკი, აბჟინოვი, ტუხოვსკი, ნიკიფორენკო, სიროვატსკი, გალუსტოვი, კატალიმოვი, სერებრიანსკი (შელესტი), ბარანოვი (პრიჩინენკო), ნაუმენკო (გულიაევი), ბონდარენკო.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

სსრ კავშირის თასის ამ მეოთხედფინალურ მატჩში თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა თავიანთი სრული უპირატესობა ცხადყვეს. თამაშის საბოლოო შედეგი ჩვენ არც მიგვაჩნდა სათუოდ და საეგებიოდ. თუ ძალთა შეფარდებით ვიხელმძღვანელებთ, თბილისელები უნდა გასულიყვნენ სსრ კავშირის თასის შემდგომ ეტაპზე და, ამრიგად, წლეულს გამხდარიყვნენ თასების გათამაშებათა ორგზის ნახევარფინალისტი: მხედველობაში გვაქვს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი და სსრ კავშირის თასი.

ძალთა საერთო შეფარდება – ეს ის კრიტერიუმია, რომელიც ჩვეულებრივ განსაზღვრავს შესაძლო გამარჯვებულს, მაგრამ ასეთი რანგის შეჯიბრებაში, რაც არ უნდა წარმატება იწინასწარმეტყველოს პროგნოზებმა, გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა თავგამოდებული, ენერგიული, დაუზარელი ბრძოლა, ძალთა მაქსიმალური დაძაბვა. მართალია, მეტოქეს ჯობნი, მაგრამ უპირატესობის სარეალიზაციოდ საჭიროა უდიდესი მონდომება და ნებისყოფის გამოჩენა.

დინამოელებმა ყველაფერი ეს სრულად გამოავლინეს “ტავრიასთან” შეხვედრაში და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: სრული ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობის, ძალების მობილიზების შედეგად ჩვენი გუნდი საკმაოდ იოლად გავიდა ნახევარფინალში.

თამაშის დასაწყისში სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისელებს, მაგრამ დინამოელთა საერთო უპირატესობა სულ უფრო და უფრო მატულობდა. “ტავრიას” კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მე–12 წუთზე გუცაევის ერთ–ერთი გარღვევის დროს სიმფეროპოლელები დაჯარიმდნენ კარიდან დაახლოებით 21–22 მეტრის მანძილზე. სანამ ისინი აღმართავდნენ კედელს და მეკარე იურკოვსკი შესაბამის განკარგულებებს იძლეოდა კარიდან, ყიფიანმა ზუსტად დაარტყა მაღალ კუთხეში – 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ შენგელიასა და იურკოვსკის შეტაკებისას ბურთი წამით “თავისუფალი” აღმოჩნდა, მას ყველაზე ადრე მიუსწრო კაკილაშვილმა და ანგარიში გახდა 2:0.

მატჩის ბედი საბოლოოდ, ფაქტიურად, ამ მომენტში გადაწყდა. მართალია, სტუმრები ცდილობდნენ აეწყოთ კონტრთამაში, ერთ მომენტში გაბელიას ძნელი ბურთის აღებაც მოუხდა, მაგრამ “ტავრიას” კონტრიერიშებისას მისი თითო–ოროლა თავდამსხმელი მოწყვეტილი იყო შეტევის ძირითად მასას, რომელიც სისტემატურად ფერხდებოდა ცენტრალურ ზონაში, დინამოელები კი კომპაქტურად მოქმედებდნენ მთელს მინდორზე, დაცვაშიც და შეტევაშიც ფეხბურთელთა დიდი რაოდენობა მონაწილეობდა ერთდროულად.

23–ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა უხეშად ითამაშეს ნაუმენკოს წინააღმდეგ. დაინიშნა პენალტი, მაგრამ თვით იმავე ნაუმენკომ ძელს მოახვედრა დარტყმა, 44–ე წუთზე კი შენგელიას მიერ დარტყმული ბურთი ძელმა უკუაგდო და ყიფიანმა კვლავ თავური დარტყმით გაიტანა მესამე გოლი.

55–ე წუთზე “ტავრიამ” შეძლო ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა (ბონდარენკო), შემდგომში უპირატესობა კვლავ თბილისელებს ჰქონდათ და მე–80 წუთზე სვანაძე–შენგელიას სწრაფი კომბინაცია ზუსტი გოლით დამთავრდა – 4:1.

ამრიგად, თბილისის “დინამო” 1982 წლის ადრიანი გაზაფხულისათვის უკვე ორი დიდი, ევროპული და საკავშირო მასშტაბის გათამაშებათა ნახევარფინალების მონაწილეა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 22 მარტი, 1982 წ.